საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 18 ივლისი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №57

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და „საქართველოს შრომის კოდექსის" 21-ე მუხლის 1-პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში და ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით „აკადემიური პერსონალის ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთი კალენდარული თვით (გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა). შვებულების პერიოდი განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით."

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 32-ე მუხლს დაემატოს მე-4 და მე-5 პუნქტები:

- "4". წარჩინებულ სტუდენტთა წახალისებისათვის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეში არსებობს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიები, რომლის გაცემის წესი რეგულირდება ცალკე დებულებით.
- "5". თუ სტუდენტმა ერთდოულად მოიპოვა პროგრამული დაფინანსება და სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო გრანტით გათვალისწინებული თანხის ნახევარი მიეცემა სტიპენდიის სახით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობი საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**